

საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალი და ეკოტურისტული
პროდუქტის ინტერპრეტაცია

მარია წიკლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი (ტურიზმის მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა ხარტიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარია წიკლაური

20.01.2023

აბსტრაქტი

ეკოლოგიური გარემოს მიმართ მზარდი ყურადღების დათმობისა და ცნობიერების თანდათან ამაღლების გამო სულ უფრო იზრდება ეკოლოგიური ტურიზმის მიმართ დაინტერესება. ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიაა, რომელსაც შეუძლია ქვეყანას დიდი შემოსავალი მოუტანოს. მიუხედავად მისი პოპულარულობისა, მას თან ახლავს პრობლემები და გამოწვევებიც. საქართველოში ეკოტურიზმი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იპყრობს, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს ამ კუთხით. მისი ბუნებრივი პირობები იძლევა ამის საშუალებას, რომ ეკოტურისტულად განვითარდეს თუმცა რესურსებს შესაბამისი გამოყენება სჭირდება.

XXI საუკუნეში დანიშნულების ადგილზე ვიზიტი და მხოლოდ მონახულება ძველებური მიდგომაა და ახლა დიდი ყურადღება ეთმობა ვიზიტორსა და დანიშნულების ადგილს შორის სულიერი კავშირის დამყარებას და სიღრმისეულ შეცნობას. მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების კომპონენტი, რის საფუძველზეც ადამიანები იძენენ ცოდნას გამოცდილებაზე დაყრდნობით. ყურადღება გამახვილდა ასევე იმაზე, თუ რა აფერხებს და რა სარგებელი შეიძლება მოჰყვეს ამ მიმართულების განვითარებას.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა იმის იდენტიფიცირებისთვის, რომ ნათელი ყოფილიყო სურათი, თუ რა დონეზეა ადამიანების ცნობიერება და დამოკიდებულება ეკოტურიზმის მიმართ. რას თვლიან ისინი ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, რა არის ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე ნახსენებია საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030, თუ როგორი უნდა იყოს საქართველო ეკოტურიზმის დარგში 2030 წლისთვის, რა უნდა გაკეთდეს ამისთვის და რა შედეგს უნდა მიაღწიოს. ასევე განხილულია ის ნაბიჯები, რაც უკვე გადაიდგა ეკოტურიზმის განვითარების გზაზე.

ძირითადი ტერმინები: ეკოტურიზმი, ინტერპრეტაცია, საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალი, ეკოტურისტული რესურსები, ეკოტურისტული პროდუქტი.

Abstract

Paying more attention and raising awareness to the ecological environment increases the interest towards ecological tourism. Ecotourism is one of the fastest growing industries that can bring a lot of income to the country. Despite its popularity, it also comes with problems and challenges. Ecotourism in Georgia is gaining more and more scale, because Georgia has a great potential in Ecological Tourism. Its natural conditions and recourses give the country opportunity to develop in this field, but it requires recourses to be used correctly.

in the XXI century, simply visiting a destination is not enough, it is an outdated approach. Nowadays a lot of attention is being paid to establishing a spiritual connection and deep understanding between the visitor and the destination. The non-formal education component is important, because based on non-formal education people get better experiences. In the research paper attention was also focused on what hinders and benefits can come from the development of this field.

Within the framework of the thesis, quantitative research was conducted. Quantitative research was conducted to identify the situation of the level of people's awareness and attitude towards ecotourism. Very interesting issue is what they consider to be the most difficult problem and what they think how to solve these problems.

The master's thesis also mentions Georgia's ecotourism strategy 2020-2030. The main thing is how Georgia Should be in the field of ecotourism by 2030 and what results should Georgia achieve. There is also discussed what has Georgia already done in the way of ecotourism development.

Key words: ecotourism interpretation, ecotourism potential of Georgia, ecotourism recourses, ecotourism product.